ხაშურის მოამბე

№22(395) 12 ივნისი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება მიმდინარეობს. ამ მიზნით მორიგი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა

დოკუმენტის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის წევრები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან ერთად USAID ძლიერი სოფლის პროგრამის ექსპერტ შოთა მურღულიას და პროგრამის წარმომადგენლებს შეხვდნენ და იმსჯელეს დოკუმენტის ძირითად პრიორიტეტებზე, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის განვითარებას, გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობას, განათლებას,კულტურას,ტურიზმს და სპორტს,ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას და სერვისების განვითარებას.

სამუშაო შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

USAI -ის ძლიერი სოფლის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც პოზიტიურად აისახება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე. თანამშრომლობის ფარგლებში,პროგრამა ხაშურის მუნიციპალიტეტს სრულყოფილი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება და ამით მხარს დაუჭერს რეგიონის გაძლიერებას, ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენასა და არსებულ და სამომავლო რისკებთან გამკლავებაში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფი აერთიანებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს, სკოლების ხელმძღვანელებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს,სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის,სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

„ალგანის“ საჩუქრები - პატარებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით, დაცვის კომპანია „ალგანის“ წარმომადგენლებმა, „მომავლის სახლისა“ და დაბა სურამის სააღმზრდელო დაწესებულების პატარები მრავალფეროვანი საჩუქრებით გაახარეს.

„ეს ჩვენი ტრადიციაა,მუდმივად ვცდილობთ,მომავალი თაობები წავახალისოთ“- აღნიშნეს კომპანიის წარმომადგენლებმა.

ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი-თენგიზ ჩიტიაშვილი, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფრუიძე და ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი ლელა გელაშვილი.

მათ მადლობა გადაუხადეს დაცვის სამსახურს და აღნიშნეს,რომ ამ მიმართულებით, გარდა მუნიციპალური სერვისებისა,სხვადასხვა კომპანიების ჩართულობაც ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი 23 სპეცმანქანით განახლდა.

მაღალი გამავლობის,ევროსტანდარტების შესაბამისი,ავტომობილები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი და რთულ რელიეფზე გადასაადგილებლად არის განკუთვნილი.

სასწრაფო დახმარების 23 ახალი ავტომობილი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში,მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში გადანაწილდება.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სპეცმანქანებით განახლდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროგრამის ფარგლებში,შიდა ქართლის რეგიონში 2023 წელს 24 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყება, ხოლო სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3 სააღმზრდელო დაწესებულებას.

მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში აშენდება

სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი;

დაბა სურამის საბავშვო ბაღი.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

2021-2022 წლებში შიდა ქართლში 8 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, ხოლო 8 საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობისა და მუშაობის შეფასების თაობაზე.	06.ივლ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი	სოციალურ საკითხთა კომისია
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობისა და ანგარიშის შეფასების შესახებ.	03.აგვ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი	სოციალურ საკითხთა კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობისა და შეფასების თაობაზე.	07.სექ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი	საფინანსო საბიუჯეტო კომისია

ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია 2023-2026 წ

წინამდებარე სტრატეგია მომზადდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიისა და ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ პარტნიორობის საფუძველზე, ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში. შემდგომში მონაწილეთა წრე გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სხვა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე ის ახალგაზრდები და დაინტერესებული პირები, ვინც თვითმმართველ თემში ცხოვრობს და/ან საქმიანობს.

2022 წლის გაზაფხულზე, ,,საზოგადოება ბილიკი“ მიერ ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლის მიზნით. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები და პრობლემები გახდა საფუძველი ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული სტრატეგიის შექმნის. ახალგაზრდული სტრატეგია მთავარი ინსტრუმენტია ხაშურის ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური და მდგრადი განვითარებისთვის.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის“ (შემდგომში „სტრატეგია“) არეგულირებს იმ საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის #533 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“, მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დოკუმენტი თანხვედრაშია “სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #606 დადგენილებასთან.

ხაშურის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

წინამდებარე სტრატეგია მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს. სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

დაინტერესებული მხარეების (მათ შორის გადაწყვეტილების მიმღები პირების) იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;

ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და ანალიზი;

სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;

ხაშურის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს წევრებთან, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის განხილვა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, „ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის“ დამტკიცება.

ხაშურის მუნიციპალიტეტი შედგება 12 ადმინისტრაციული ერთეულისგან, 83 სოფლისგან, მათ შორის ერთი დაბა:

<u>ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული</u>

ქვიშხეთი, ბეღლეთი, ბულბულისციხე, მონასტერი, რუსაანთუბანი, სავანისუბანი, სათივე, სარმანიშვილისკარი, ტაშისკარი, ტერეზი, ყიფიაანთუბანი;

<u>ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეული:</u>

ცხრამუხა, დამჩხეულა, თაგვეთი, კოდისწყარო, რბონა, ქაშვეთი, ჯვართმუხა;

<u>დაბა სურამის ადმინისტრაციული ერთეული:</u>

დაბა სურამი, ბიჯნისი, დიდი ბეკამი, პატარა ბეკამი, ზეკოტა, ურთხვა;

4. <u>ხცისის ადმინისტრაციული ერთეული:</u>

ხცისი, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა, კრისხევი, მიწობი;

5. <u>წრომის ადმინისტრაციული ერთეული:</u>

წრომი, ახალშენი, დიდი ყელეთი, დიდი ხავლეთი, იმერლიაანთ-

კარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი;

6. წაღვლის ადმინისტრაციული ერთეული: წაღვლი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ყობი, ჩორჩანა, წეღვერი, ტიტვინისწყარო;

7. ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეული:

ქვემო ოსიაური, ახალსოფელი, ზემო ოსიაური, ნარუჯები, ღანძილები, ღუდა;

8. ცოცხნარის ადმინისტრაციული ერთეული:

ცოცხნარა, ოძისი, ქემფერი, ცედანი, ცივწყარო, წაბლოვანი;

9. ალის ადმინისტრაციული ერთეული:

ალი, ახალუბანი, ბრილი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ნაბახტევი, უწლევი, ქინძათი, მცხეთიჯვარი;

10. გომის ადმინისტრაციული ერთეული:

გომი, აგარები, დიდი სატივე, ვაყა, პატარა სატივე, ქვემო აძვისი, ხიდისყური;

11. ფლევის ადმინისტრაციული ერთეული:

დიდი ფლევი, ნაცარგორა, პატარა ფლევი, ტკოცა;

12. ხალების ადმინისტრაციული ერთეული:

დიდი ხალები, ალექსანდრეწყარო, პატარა ხალები, სარტყელი, ღართა, ღვრიაწყალი:

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტში შემავალ 25 სოფელს: დუმაცხოვი, კლდისწყარო, ტკოცა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ცედანი, ცივწყარო, რბონა, ქაშვეთი, დამჩხეულა, ყობი, კლდისწყარო, წაღვლი, ტიტვინის წყარო, იმერლიაანთკარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი, დიდი ხავლეთი, დიდი ყელეთი, დიდი ხალები, პატარა ხალები, ღართა, სარტყელა, ალექსანდრეს წყარო, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სტატუსი მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტში შემავალ 2 სოფელს: ჩორჩანა და წაღვლი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა

უშუალოდ ხაშური უბნებად/თემებად დაყოფილი არ არის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, 52 603 ადამიანს შეადგენს, მათ შორის 10 285 ახალგაზრდაა (14-29 წლის ჩათვლით). ახალგაზრდების წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში 19 %-ია. ახალგაზრდების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია და ისინი ახალგაზრდების 53 %-ს შეადგენენ:

სახელმწიფოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდგომ მუდმივად მიმდინარეობს. პერიოდულად ევროკავშირის, იუსაიდის თუ სხვა ფონდების ხელშეწყობით ხდება სხვადასხვა პროგრამების და რეფორმების განხორციელება, ბოლო პერიოდში კი აქტიურად მუშაობს სახელმწიფო პროგრამები (აწარმოე საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, GITA, დანერგე მომავალი და ა.შ.), რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს განვითარდეს და განავითაროს საკუთარი მეწარმეობა/ბიზნესი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება, მაღალმთიან სოფლებსა და კონფლიქტის პირა სოფლების განვითარებაზე. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამები ხელს უწყობს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასა და სოფლებიდან ნაკლები ახალგაზრდის გადინებას. თუმცა, რჩება რიგი პრობლემები, რაც აფერხებს ახალგაზრდების განვითარებას.

ერთი-ერთი ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს ხედვა, რომელიც ითვალისწინებს და ხელს უწყობს ახალგაზრდების და ზრდასრულთა მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვას. პიროვნება, რომელიც ჩართულია ბავშობიდან/ახალგაზრდობიდან სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობაში, გაცილებით შრომისუნარიანია ბაზარზე, რაც ერთთავად ხელს უწყობს როგორც თემის, ასევე ქვეყნის განვითარებას.

ასევე, აღსანიშნავია, ახალგაზრდების გადინება მეზობელ ქვეყნებში. განსაკუთრებით, ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოსგან განსხვავებით შრომის ანაზღაურება მაღალია და ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური (გერმანია, იტალიის ჩრდილოეთი, შვედეთი, ფინეთი).

აგრეთვე, ახალგაზრდების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორია შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა და საერთაშორისო ასპარეზზე, მიმდინარე რუსეთის ომი უკრაინაში, რომელიც დამატებით ეკონომიკურ გამოწვევებს უქმნის საქართველოს. მოგეხსენებათ, პროდუქციის დიდი ნაწილი, საქართველოში შემოდიოდა უკრაინიდან და რუსეთიდან. აღნიშნულ ქვეყნებში შექმნილმა სასურსათო დეფიციტმა გაზარდა საქართველოშიც პროდუქციის ფასები, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებზე, რაც უარყოფითად აისახება ჩვენი ქვეყანის მოქალაქეების ოჯახებზე. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, აღსანიშნავია, სოფლის მეურნეობის პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივას. .

სახელმწიფოს ერთ-ერთ პრობლემას ასევე წარმოადგენს ახალგაზრდები, რომლის დიდ ნაწილს არ აინტერესებთ სწავლა, მუშაობა, მიდრეკილნი არიან მავნე ჩვევებისკენ. ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის ნარკოტიკები ცხოვრების ყოველდღიურ წესად იქცა, ასევე ადამიანის გამეტება სასიკვდილოდ. ახალგაზრდული პოლიტიკის შემქმნელები ფიქრობენ ამ თემებზე, თუმცა ერთიან სისტემაში მოქცევის საშუალება და შესაძლებლობა არ აქვთ, რის გამოც ქვეყანაში არსებულ ადამიანურ რესურსში არსებული შესაძლებლობები, მხოლოდ ინდივიდებში რჩება და ამით როგორც ჩვენი მომავალი თაობა ასევე სახელმწიფო იღებს დიდ ზიანს, რადგან ვერ ხერხდება სრულფასოვნად ცოდნის გადაცემა მომავალი თაობებისთვის და სხვა პროფესიონალებისთვის. ფაქტია, ოჯახური ძალადობა, ბულინგი, გემბლინგი, სუიციდი, სუიციდის მცდელობა, ნარკომანია, სხვადასხვა სახის მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება აშკარად გაზრდილია დეკრიმინალიზაციის შემდგომ, რაც საერთო ჯამში ქვეყანაში ქმნის ახალგაზრდების განვითარების შემაფერხებელ ბარიერებს. მსუბუქი ნარკოტიკების ნაწილობრივ ლეგალიზაციამ გაზარდა მომხმარებელთა რაოდენობა, ამავე მომხმარებლის ასაკის დაწევის ხარჯზე რაც სავალალოა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ფონისთვის.

ხაშური, ბუნებრივად, ყოველთვის იყო ქვეყნის სამი მიმართულების დამაკავშირებელი კვანძი (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი) და ინარჩუნებს დღემდე ამ სტატუსს. მოსახლეობის დიდი ნაწილი აწარმოებს სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთებს. აღნიშნული პროდუქცია გამოირჩევა კარგი ხარისხით და იკავებს თავის ნიშას ქართულ ბაზარზე. აღსანიშნავია, დაბა სურამის პოტენციალი. დაბა სურამის მიმდებარე ბუნებრივი კლიმატი გაზაფხულის პერიოდში, კერძოდ კი მაისის თვეში (როდესაც ხდება ნაძვის დამტვერიანება) იზრდება მოთხოვნა საოჯახო სასტუმროებზე. შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობა საოჯახო სასტუმროების მართვაში არის ჩართული, რაც ერთთავად ზრდის და ანვითარებს საოჯახო ტურიზმის სფეროს. ეს კი ხელს უწყობს მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდების დასაქმებას, რაც მნიშვნელოვანია ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტი არ არის საუნივერსიტეტო ქალაქი, რაც ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ახალგაზრდების გადინების, როგორც გორის, ასევე თბილისის მიმართულებით. უმაღლეს განათლება მიღებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი დროებით, ან სულ ტოვებენ საკუთარ საცხოვრისს, რაც მუნიციპალიტეტში არასაკმარისი სამუშაო ადგილებიდან მომდინარეობს.

ქ. ხაშურში ფუნქციონირებს 33 სკოლა, მათ შორის 32 საჯარო, 1 კერძო სკოლა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სოფელს მხოლოდ ერთი სკოლა აქვს. მუნიციპალიტეტში არსებული სასკოლო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და სკოლა ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდებას.

ხაშურის მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევამ აჩვენა, რომ უშუალოდ ახალგაზრდების პრობლემას წარმოადგენს კინოთეატრის, ახალგაზრდების შეხვედრის ადგილების, ახალგაზრდული ცენტრის არ არსებობა, რაც თავის მხრივ ახალგაზრდების განვითარებისთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია. მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიბლიოთეკების რაოდენობა საკმარისი არ არის, როგორც ქალაქში, ასევე რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. პრობლემას ასევე წარმოადგენს რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ გაატარონ თავისუფალი დრო.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე მეტად თანამშრომლობენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, რომლებიც აცნობიერებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად წარმართვა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მეტი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შესწავლილი და გათვალისწინებული იქნას ახალგაზრდების მრავალმხრივი ინტერესები და შესაბამისად, მიეწოდოთ მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები. აღნიშნული სერვისები, ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას თავად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ინიციატივა, აიმაღლონ ცნობიერება და კვალიფიკაცია საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენცია, ტრენინგი, სემინარი) მონაწილეობის გზით. ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

სამართლიანობა;

თანასწორობა;

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალეობა;

ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა;

მიუკერძოებლობა;

დაინტერესებული პირების ინფორმირება;

უფლებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა;

თანაბარი ხელმისაწვდომობა;

ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ახალგაზრდებთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია (მუხლი 16):

ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ადგილობრივ დონეზე.

<u>ახალგაზრდების განვითარება და კეთილდღეობა, ახალგაზრდების პოტენციალის სრული რეალიზება და მათი აქტიურად ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში.</u>

სტრატეგია ეფუძნება 4 ძირითად სტრატეგიულ მიზანს:

1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

ამოცანები:

1.1. ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირება.

1.2. ახალგაზრდების ინფორმირება თემში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ;

1.3. ახალგაზრდების მიერ როგორც საკუთარი, ისე სხვისი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

1.4. ახალგაზრდების აქტიურად ჩართვა თემის განვითარების პროცესში და ადვოკატირების შესაძლებლობა;

1.5. უმცირესობების - გენდერული, სოციალური, ასაკობრივი, ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და ოჯახური ძალადობის შემცირება და მათი ინკლუზიურობის გაზრდა.

2. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობების შექმნა

ამოცანები:

2.1. ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმირება და მისი პოპულარიზება საკომუნიკაციო და სხვა საშუალებების გამოყენებით.

2.2. რეკრეაციული გარემოს შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება და მათ მიერ აღნიშნული გარემოს მნიშვნელობის გათვითცნობიერების უზრუნველყოფა.

2.3. ჯანსაღი და ხელმისაწვდომი გართობის შესაძლებლობების შექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის, მათ შორის ველობილიკების და სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდის გზით;

ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირება.

3. ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება

ამოცანები:

3.1. ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება შესაბამისი პროგრამების განხორციელების გზით;

3.2. ახალგაზრდების მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ზრდა;

3.3. მოხალისეობის პოპულარიზება და წახალისება;

3.4. ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო, ახალგაზრდული ჯგუფების ხელშეწყობა და განვითარება;

3.5. კულტურათაშორისი და გენდერული მგრძნობელობების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

3.6. ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა.

4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

ამოცანები:

4.1. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება;

4.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა, შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით;

4.3. თემში საჯარო ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრების დაფუძნება/ჩამოყალიბება, არსებულის მოდერნიზება და აღჭურვა;

4.4. კულტურულ-შემეცნებითი აქტივობების რაოდენობის გაზრდა.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს მერიაში არსებული შესაბამისი სამსახური - მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური, საჭიროებიდან გამომდინარე მერიის შესაბამისი სამსახურების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ, დეკემბრის თვეში შეთანხმებისამებრ, სადაც მერიის შესაბამისი პასუხიმგებელი სამსახური წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების მიმდინარე პროცესის ანალიზს. შეხვედრაზე, განიხილება შემდეგი საკითხები: კონკრეტულ პერიოდში შესრულებული სამუშაო, ხელთ არსებული რესურსები, პრობლემები, გამოწვევები, საჭირო რესურსები შემდგომი განვითარების მიზნით.

მონიტორინგის და შეფასების მიზნით შესაძლებელია დამატებითი შეხვედრის ორგანიზება, რომელსაც იწვევს მერი ან მერთან შეთანხმებით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

სტუმრად - დამეგობრებულ ქალაქში

ხაშურთან დამეგობრებული ლიეტუვის ქალაქ რადვილიშკისის საჯარო ბიბლიოთეკაში თხრობის საერთაშორისო კონკურსი „იყო და არა იყო რა“ გაიმართა.

კონკურსს სტუმრის სტატუსით დაესწრნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები მაკა დიდებულიძე და თათია ბროლიძე,ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის კლუბ „ზღაპრის საათი ნონასთან ერთად“ ხელმძღვანელი ნონა ტეფნაძე და პოეზიის შემსწავლელი საგანმანათლებლო წრის ხელმძღვანელი ხათუნა ჩიტაძე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ლიეტუველ აუდიტორიას მშობლიურ ენაზე წაუკითხეს ზღაპრები და სპეციალური პრიზები დაიმსახურეს.

ღონისძიებათა ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ქალაქ რადვილიშკისის მერთან - კაზიმირას რაჩკაუსკისთან.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები რადვილიშკისის საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობასაც გაეცნენ.

ულუმბო
ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21)

ულუმბისა და მისი მონასტრის ისტორია XIII საუკუნიდან (შესაძლებელია ადრეული საუკუნებიდანაც - თ.ლ.) მოყოლებული, ვიდრე XX საუკუნემდე მჭიდროდ არის დაკავშირებული გაბელიძე - ამირეჯიბთა საგვარეულოსთან.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით აბაშიძეს,ფალავანდიშვილს და ამირეჯიბს „...ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათი''. ამრიგად, ვახუშტის თანახმად, საქართველოს ერთიანობის პერიოდში ამირეჯიბები მამულებს ფლობენ როგორც ქართლში, ასევე, იმერეთში. მათი მამულები ლიხის ქედს ემიჯნება. იოანე ბაგრატიონი ამირეჯიბებს ფალავანდიშვილებიდან გამოსულ საგვარეულოდ მიიჩნევს: „ამირეჯიბნი არიან ესენიც ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი, რომელთაც აქვთ მამულნიცა ურთიერთისა შორის შერევნილნი, გარნა ამირეჯიბობაი გაუგვარდათ სახელისა გამო, ვინაიდგან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხსენებელსა მეფისასა... ხოლო ესენიცა არიან ახალციხიდგანვე მოსრულნი ქართლში, რომელნიც სახლობენ ზემო ქართლსა შინა ზემო ამირეჯიბად და ქვემო ამირეჯიბად. ზემონი არიან დავითის შვილები, ხოლო ქვემონი ზაზას შვილები. ასპანის შვილები, რომელნიმე ამათ გვარნი სცხოვრობენ იმერეთს აზნაურად და რომელნიმე ახალციხეს ბეგებად წოდებულნი''.

გაბელიძე-ამირეჯიბების შესახებ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით თავად მათი ხელიდან გამოსულ საბუთებში. ეს უმთავრესად ითქმის ქუცნა ამირეჯიბის „დაწერილზე'' ულუმბის ღმრთისმშობლისადმი, რომელსაც მკვლევარები 1407-1410 წლებით ათარიღებენ.

მკვლევარები მიუთითებენ საბუთის შედგენილობის თავისებურებებზე და წერენ: „აქ აღრიცხულია ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტრისათვის ამირეჯიბთა მიერ გაწეული ღვაწლი ქრონოლიგიურად სხვადასხა მონაკვეთში, რაც, უეჭველია, თავის დროზე სათანადო ცალკეული აქტებით იყო გაფორმებული. ამდენად, საბუთი გარეგნულად ტოვებს ერთ თემაზე გაერთიანებულ კრებულის შთაბეჭდილებას''.. ამიტომ იყო, რომ თავის დროზე თედო ჟორდანიამ, რომელმაც 1892 წელს შემოკლებით გამოსცა საბუთი, ტექსტი თავებად დაჰყო რომაული ნუმერაციით (I-VIII). ასევე გაიმეორა საბუთის რუსულად მთარგმნელმა საურმაგ კაკაბაძემ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან თ. ჟორდანიასეული ნომრები გადაადგილა.

ისტორიკოსი გ. ოთხმეზური მიუთითებს: „ტექსტში ქრონოგიული თამნიმდევრობა არაა დეაცული და XV საუკუნის I მესამედის ამბების თხრობაში შიგადაშიგ ჩართულია ცნობები ამავე საუკუნის 50 – 80 - იანი წლების და XVI საუკუნის II მეოთხედის საბუთებიდან“ .

„დაწერილის'' ავტორი ქუცნა ამირეჯიბი, თემურ-ლენგისგან აოხრებული ულუმბის მონასტრის მშენებელია. იგი მოგვითხრობს მის წინაპრებზე, იმ დამსახურებაზე რაც მათ მიუძღვოდათ ქვეყნის წინაშე. „დაწერილში'' არის ქუცნას შემდეგდროინდელი ჩანართებიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაბელიძეები ასპარეზზე გამოჩენისთანავე ფლობენ ულუმბას, ზრუნავენ მასზე. „დაწერილის'' მიხედვით ამირეჯიბების წინაპრები, - გაბელაძეები, - XIII საუკუნის 20-30 წლებში განვითარებული მოვლენების დროს გვხვდება. ამ დროს ისინი უკვე საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობენ, მათი მთავარი სალოცავია ულუმბო. ამასთან დაწინაურებულები ჩანან სამეფო კარზე. „დაწერილის'' თანახმად, რუსუდან მეფემ ამირეჯიბების პაპა - ქურციკ გაბელაძე უწინამძღვრა ქართველთა ლაშქარს სპარსელების წინააღმდეგ,რომლებიც ცნობილი ჯალალ-ედ-დინის ხელმძღვანელობით ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობას. ცნობილია, რომ ქართველობა ჯალალ-ედ-დინთან დამარცხდნენ, მაგრამ „დაწერილის'' ცნობა სხვა ბრძოლაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომელშიც ქართველებს მტერი უძლევით და გაუმარჯვიათ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქურციკს ბრძოლის დაწყებამდე ულუმბის მონასტრისათვის შეუწირავს სოფელი წაღვლი: „შევწირეთ წაღვლი ნასყიდი და ნამზითვი მხეიძისაგან. შევსწირეთ, ოდეს წარგვიჩინა თვით და ამისად სპასალარად რუსუდან მეფემან ლაშქარსა სპარსისასა და გაგვემარჯუა. მინდორს შევიბენით და ამოვსწყვიდეთ. მოვართვით დროშა, ნაღარა და თაჯი თვითგან მაღლის სულთნისა. და გვიყო წყალობა და გვიბოძა ჯილდოდ,რაც ვეაჯეთ'' (ქართული ისტორიული საბუთაბი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, თბ. 2013, გვ. 95). სამეფო კარმა ქურციკ გაბელაძეს ქართლსა და იმერეთში უბოძა სოფლები, მან კი თავის მხრივ შესწირა ულუმბის მონასტერს: „ლომინაძისაგან გამოტანებული მზითევი ბებიის ჩემისათვის - წირქუალი და ზოდი მონასტრისა ჩუენისა მოსახსენებლად და შესაწირავად მსხუერპლისა ჩუენისა ყოვლად წმიდისათვინ, ნაოხარი სოფლები ღოდორა, ლიჩი და გოლისი, უწლევი, ბობოკინი, ბროლოსანი და აძვისი. და რაც გამოსაღები და ბეგარა გაგვეჩინოს, მოძღუართ-მოძრუარსა მიეგარებოდეს. თორმეტს საუფლოს დღესა ჟამს გვიწირავდეს საულუმბოს მღუდლით, და კარგაღებულს აღაპს გარდაიხდიდეს. და დროშაცა შესწირეთ მეხოიშენსა ჩუენსა და თაჯი მრავალძალსა'' .

ამ ამონარიდში ყურადღებას იქცევს ცნობა იმის თაობაზე, რომ ჯალალ-ედ-დინისათვის წართმეული დროშა ულუმბოს მონასტრისათვის, ხოლო თაჯი მრავალძალის მონასტრისათვის შეუწირავთ.

* * *

აღნიშნული შენაწირების არსებობა მრავალძალის მონასტერში დადასტურებულია მოგვიანო ხანის ინფორმაციით. აქ უნდა შევნიშნოთ ის, რომ ულუმბოს შეწირული ჯალალ-ედ-დინისათვის წართმეული დროშა რაღაც პერიოდში მრავალძალში ხვდება და თაჯთან ერთად ინახებოდა აქ.

გაზეთმა „ივერიამ“ 1894 წლის 23-24 თებერვალს, ორ ნომერში (42,43) გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „მრავალძალის ეკლესია რაჭაში“, რომელსაც ხელს აწერს „ქართველი ოსებში“(თედო ჟორდანია).

ავტორი მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიას თამარ მეფის მიერ აშენებულად მიიჩნევს და წერს:

„ამ ეკლესიაშივეა თამარისავე შეწირული წმ. გიორგის ვერცხლის ხატი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი, რომელსაც სიმაღლე ერთი ალაბი ექნება და სიგანე სამი ჩარექი. ეკლესიის თაღში დატანებულია, როგორც გადმოცემა ამბობს, თვით თამარ მეფის თმა“).

ავტორი მოგვითხრობს ხალხში გავრცელებულ შემდეგ ლეგენდას: „ეკლესია ძვირფასი თლილის ქვით არის აგებული მაღალ გორაზედ, სოფლიდან ვერს-ნახევარზედ. ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს თუ რად ეძახიან ამ სოფელს მრავალძალს: ერთხელ, თამარის მეფობის შემდეგ, როდესაც ოსმალოს ჯარს, ჩვეულებისამებრ, საქართველოზედ გამოელაშქრა, მრავალძლის მთასაც მოჰხვედროდა მისი უწმინდური ფეხი, გადმოევლოთ მთაზედ და სურდათ თურმე სოფელ მრავალძალში ჩასვლა და მისი აკლება. მაგრამ, ღვთის განგებამ ღირსი არ გაჰხადათ, რომ მათს უწმინდურს ფეხს შეემუსრა მრავალძალის წმინდა ადგილი. როდესაც ოსმალოს ჯარი დაუახლოვდა თურმე ამ სოფელს ორი ვერსის მანძილზედ, ერთბაშად დაბნელდა, ნისლ-ბურუსის ზეწარი გადაეფარა იმ არემარეს და ჯარი ვეღარაფერს ჰხედავდა; აერიათ გზა-კვალი; დაიწყეს უგზო-უკვლოდ ხეტიალი და გადაადგნენ უზარმაზარ ჭოლევის კლდეს, რომლის ძირში ერთ ალაგას ჭაობიანი ტბა არის. კლდესაც ამიტომ ეძახიან ჭოლევის კლდეს. ეს კლდე სარტყელივით აქვს შემორტყმული ამ სოფელს და სიმაღლით ორმოც-სამოცი საჟენი იქნება. ჭოლევის კლდიდან რამდენიმე ჯარისკაცი გადაცვივდნენ და რადგანაც თვალით ვეღარას ჰხედავდნენ, ბევრი გადაჰყვნენ ერთიერთმანეთს. ბოლოს შენიშნეს, რომ ჯარისკაცნი მიდიან და სადღაც სცვივიან; ერთბაშად შესდგნენ და დაუწყეს გზას ფრთხილად სინჯვა; აღმოჩნდა, რომ გადასდგომოდნენ ზემოხსენებულ კლდეს და იღუპებოდნენ. აღარ იცოდენ, საით გაბრუნებულიყვნენ. სწორედ ღვთის განგებაო, იფიქრეს; აქ სწორედ წმინდა გიორგის სალოცავი უნდა იყოსო. ამ ფიქრის შემდეგ ოსმალოს ჯარმა, დაიწყო ლოცვა: „დაგვიხსენ, ამ განსაცდელისაგან, ვევედრებით შენს დიდებას, დავსდებთ აღთქმას და სადამდინაც შენი ზარის ხმა მიაღწევს, იქ ჩიტსაც არ ავაფრენთო“. ამ ლოცვის შემდეგ ერთბაშად გადიყარა ჯანღმა და მრავალძალის არე-მარესაც მოეფინა ჩვეულებრივი დღის სინათლე. ჯარის კაცთ გადიხედეს და დაინახეს რა ცოტა მოშორებით საყდარი, დაბრუნდნენ კლდიდან და მივიდნენ ეკლესიაზედ. ერთი დღე და ღამე ამ ეკლესიის გალავანში დაჰყვეს ჯარის კაცთ და შესთხოვეს: „წმინდაო გიორგი ძლიერო, რადგანაც გადაგვარჩინე, ამ განსაცდელს და გვიხსენი და ეგრეთი სასწაულთმომქმედი ხარ, ჰქმენ სასწაული და ამ შენს გალავანში მოიყვანე ის ძროხა და ხარი, რომელიც იმყოფება ჩვენის ზღვის პირზედ და უფრო მეტად დაგვიმტკიცე შენი ძლიერაბაო. „ძროხა და ხარი გარეულნი ყოფილიყვნენ, საშინელი უზარმაზარნი, რომელთაც თუმცა ჰხედავდნენ,ვერავინ ჰბედავდა მათ დახოცვას. ამით უნდოდა გამოეცადნათ ძლიერება ხატისა. უფლის განგებით, ოსმალოს ჯარის თხოვნა აღსრულდა. მეორე დღეს ხარი და ძროხა მართლაც მოსულიყვნენ და ეკლესიის კარებს მისდგომოდნენ. ოსმალოს ჯარის კაცნი უფრო მეტად გააკვირა და გააცვიფრა ამ სასწაულმა; ეს ხარი და ძროხა ადვილად დაჰნებდა ჯარს დასაკლავად; იმათაც დაჰკლეს იქვე გალავანში და სახსოვრად ამ სასწაულისა, მარჯვენა რქები ძროხისა და ხარისა ვერცხლით შეაჭედვინეს და მრავალძალის ეკკლესიას შესწირეს; ეს რქები დღესაც ამ ეკკლესიაში ინახება ძველის ვერცხლით შეჭედილი. ყოველი ამის გამო მრავალ სასწაულის მნახველთ ოსმალოს ჯარის კაცთ უწოდეს ამ ეკლესიას „მრავალძალი“, ანუ „მრავალძლიერი“. ეკკლესიის წყალობით სოფელსაც ეს სახელი ეწოდა. ზემოხსენებულ ყანწებს ხმარობენ ეკლესიის დღეობაში,აგრედვე ქორწილში. ყანწები ფერათ წითელის სისხლივით არის. ბევრს არა სჯერა, რომ ყანწები ბუნებით არის ასეთი წითელი, წამლით თუ არის შეღებილიო. ყანწებში ჩადის თითოში თითქმის თითო თუნგი, ხალხი იმ აზრისაა, რომ როდესაც იმ ყანწებით ღვინოს სვამს ვინმე, უსათუოდ ფეხზედ უნდა წამოდგეს, ქუდი მოიხადოს, პირჯვარი დაიწეროს, სამჯერ ემთხვიოს ყანწს და ისე დალიოს; თუ ასე არ მოიქცა, ვერ გამოსცლისო, ეკკლესიაში, როგორც ამბობენ, ოსმალოს ჯარის კაცთაგან არის შემოწირული უწინდელი მათი გამოჩენილი მეომრისა და ჯარისკაცის ვეებერთელა რკინის ქუდი, ჩაფხუტი და ხმალი, რომელსაც უწოდებენ ხვარაზმის ხმალს, აგრეთვე შუბები და სხვა...''.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- "ფრესკა" პოლონეთიდან უდიდესი წარმატებით ბრუნდება -

პოლონური მედია: "საოცარი ქართველები-შოუ, რომელიც არასოდეს გინდა რომ დასრულდეს..."

ჩვენი სახელოვანი ანსამბლი "ფრესკა',რომელსაც ასევე ცნობილი ქორეოგრაფი ელენე რატიანი ხელმძღვანელობს, უდიდესი წარმატების შემდეგ,პოლონეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. "საოცარი ქართველები-ეს უნდა ნახოთ, ეს უნდა შეიგრძნოთ, ესაა შოუ, რომელიც არასდროს გინდა რომ დასრულდეს. ორი სიტყვით, ასე შეიძლება მათი გამოსვლა შეფასდეს-ცეცხლი სცენაზე, რომელსაც ადამიანები ქმნიან. წარმოუდგენელი ენერგია, წარმოუდგენელი სილაღე შერწყმული საოცარ მუსიკასთან და თქვენს თვალწინ იშლება ზეციური შოუ"-ასე შეაფასა პოლონურმა მედიამ. "ფრესკის" გამოსვლა ქალაქ ტარნოვში, სადაც ანსამბლი ქალაქის გმინას მიწვევით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმყოფებოდა.

ვულოცავთ "ფრესკას" ამ წარმატებას,ვულოცავთ მათ ხელმძღვანელს და იმედი გვაქვს,ჩვენი ქალაქის სახელს ისინი კიდევ ბევრჯერ გააცნობენ ევროპასა თუ მსოფლიოს მეგაპოლისებს.

ხაშურის თოჯინების თეატრის დარბაზში ახალგაზრდული თეატრალური დასი სპექტაკლის პრემიერით წარდგა

თეატრის დირექტორი გია ბოლოკაძე, რეჟისორი და ინსცენირების ავტორი გიორგი ცხვედაძე გახლავთ. „ადამიანი" - ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის მთავარი თემა გლობალურ გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე მდგომი თანამედროვე ადამიანია.

სცენაზე საინტერესო პერსონაჟები გააცოცხლეს ახალგაზრდული დასის წევრებმა: აკაკი გელაშვილმა, გიორგი ჩადუნელმა, ლიზი მახარაძემ, ანანო შავიძემ, სალომე ლომიძემ, იაკობ ალხაზიშვილმა, ანი ყაულაშვილმა, ნატალი ყაულაშვილმა, მარიამ ჟამერაშვილმა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.